

ლია ბანკინგის სტანდარტები საქართველოში

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-91

ვალერი მოსიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
vmosiashvili@seu.edu.ge

ელიკო მიქაია

სტუ დოქტორანტი
Mikaia.eliko@gmail.com

რეზიუმე

საბანკო საქმიანობა საქართველოში გადის სწრაფი ცვლილებების პერიოდს, რაც გამოწვეულია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით და ფინანსური ბაზრების გლობალიზაციით. რადიკალური საბაზრო რეფორმების კვალდაკვალ ქვეყნის საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა. გაიზარდა საბანკო ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა საქმიანობაც დაფუძნებულია საბაზრო პრინციპებზე, რაც თავის მხრივ, ქმნის პირობებს საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარებისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ ბანკებს გაუხსნა ახალი შესაძლებლობები რისკების მართვის, მომხმარებელთა მომსახურების პროგრესული ფორმების განვითარებისა და მათი საქმიანობის შემდგომი დივერსიფიკაციისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგია გახდა მრავალი ფინანსური ინოვაციის საფუძველი, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა. დაიწყო ღია ბანკინგის ერა და მასთან ერთად, ფინტექ ეკოსისტემის ზრდა. მსოფლიო ტენდენციებს არც საქართველო ჩამორჩება – ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს საბანკო ასოციაციამ ღია ბანკინგის საერთო სტანდარტების შემუშავებაზე ჯერ კიდევ 2020 წელს დაიწყეს

მუშაობა, რომელთა ძირითად პრინციპებსაც განვიხილავთ წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ფინტექ-ინოვაციები, API - სერვისები, ღია ბანკინგი.

ძირითადი ტექსტი

21 საუკუნის გლობალური ფინანსური მომსახურების ინდუსტრია მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს ნაწილობრივ განპირობებულია მომხმარებლის მოთხოვნით მეტი გამჭვირვალობის, სწრაფი გადახდებისა და მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ფინტექ-ინდუსტრიის სწრაფად მზარდი ტემპი მუდმივად ავითარებს ციფრული მომსახურებების მიწოდების ხერხებს. მობილური ქსელის ოპერატორები, სოციალური ქსელების, ელექტრონული კომერციისა თუ სატრანსპორტო მომსახურების პლატფორმები უფრო და უფრო მეტად ცდილობენ გამოიყენონ ფინტექი, რათა შექმნან საკუთარი მომხმარებლების გადახდებისა თუ ტრანზაქციების საინფორმაციო ბაზები. აღნიშნული ბაზები კი, თავის მხრივ, გამოიყენონ ბანკებისა და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებისთვის ერთგვარ შემოსავლების დასადასტურებლად.

დღევანდელ რეალობაში, ამ პლატფორმებსა და საბანკო სერვერებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა ფინტექში API-ების საშუალებით ხორციელდება. API-ები კიდევ მრავალ ფუნქციას ასრულებენ ფინანსურ ტექნოლოგიებში დეველოპმენტის მიზნების შესაბამისად. API-ს, როგორც ასეთი ცნების, გამოჩენა მსოფლიო ბაზარზე თარიღდება 2000 წლით, როდესაც ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა როი ფლემინგმა თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქსელური პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურული სტილი და დიზაინი“ გამოიყენა ცნება API.

API (Application Programming Interface) აპლიკაციების პროგრამული ინტერფეისის გამოყენება ფინანსურ და არამხოლოდ, ინსტიტუტებს აძლევს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. მისი გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა აპლიკაციების ერ-

თმანეთთან დაკავშირება ინფორმაციის მიმოცვლის მიზნით, იმისთვის რომ განავითარონ ინოვაციური პროდუქტები და მოახდინონ არსებული პროდუქტების მომხმარებლის და ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტირება.

ისტორიულად, ტრადიციული ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები, გამოირჩეოდნენ მათი კონსერვატიული მიდგომებით და შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბოლო 10-15 წელია, რაც ამ ინდუსტრიაში შესამჩნევი ცვლილებები შეინიშნება. მაგალითად, სულ უფრო ხშირად ვხედავთ ახალ მოთამაშეებს, რომლებიც კარდინალურად განსხვავდებიან ტრადიციული ბანკებისგან. Apple, Facebook, Amazon – ეს, რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია იმ კომპანიებისა, რომლებიც უკვე გამოჩნდნენ ფინანსური სერვისების ბაზარზე და ცდილობენ უკეთესი მომსახურება შესთავაზონ მომხმარებლებს. ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარება და მათი ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტ საშუალებას აძლევს სტარტაპებს და ახალ მოთამაშეებს შექმნან ახალი ტიპის საბანკო სერვისები. თუ ბანკები ვერ შეძლებენ ამ ინოვაციურ ცვლილებებზე რეაგირებას, შეიძლება თამამგარე მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ. ამიტომაც არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ინოვაციების დროულად დანერგვა.

საბანკო სერვისები და პროდუქტებიც, მაგალითად ისეთი როგორიც არის მობაილ ბანკის აპლიკაცია, სწორედ API-ის მეშვეობით უკავშირდება ბანკის სერვერს, სადაც ჩვენი პირადი ფინანსური ინფორმაცია ინახება და ახდენს ამ ინფორმაციის ტრანსფერს მობილურ აპლიკაციაში. მაგალითად, მობაილ ბანკინგით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას გვეგზავნება SMS შეტყობინება კოდის შესახებ, რომლითაც უნდა დავადასტუროთ ოპერაცია, სწორედ API ინტეგრაციის მეშვეობით არის შესაძლებელი მობაილ ბანკის დაკავშირება SMS პროვაიდერთან რომ მოგვივიდეს შეტყობინება.

ფინანსური სერვისების შემთხვევაში სიტუაცია ცოტა უფრო რთულად არის, რადგან მომხმარებლის პირადი ინფორმაცია არის მკაცრად კონფიდენციალური და ბანკი ვალდებულია

მის დაცულობაზე იზრუნოს. შესაბამისად სანამ გაგვეხსნება ნვდომა ჩვენს პირად ინფორმაციაზე, პირველ ეტაპზე ხდება უსაფრთხოების პარამეტრების (მაგ: იუზერი, პაროლი, თითის ანაბეჭდი, სახის ამოცნობა) API-ის მიმოცვლა, იმისთვის რომ ფინანსური ინფორმაცია იყოს დაცული და უსაფრთხო. API-ს გამოყენება ამცირებს ადამიანური შეცდომების ალბათობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფის ინფორმაციის მთლიანობას და უსაფრთხოებას.

ამრიგად, ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის განთავსება არის შესაძლებელი აპლიკაციაში ან ვებ-გვერდზე, მთავარია ინფორმაციის მფლობელმა გამოდგას მისი API, პროგრამული კოდი. ამის ძალიან კარგი მაგალითია მსოფლიოში ცნობილი ფინანსური ბაზრის ელექტრონული პლატფორმა Bloomberg.com¹ სადაც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებითა და აქტივებით ვაჭრობა ხდება, შესაბამისად ნებისმიერ სხვა კომპანიას შეუძლია შექმნას სავაჭრო პლატფორმა და მასზე განათავსოს Bloomberg-ზე არსებული ინფორმაცია, სწორედ API-ის მეშვეობით. Bloomberg ყიდის სხვა და სხვა ინფორმაციის, ანუ ტექნიკურ ენაზე ფუნქციონალს და თითოეულ ფუნქციონალს თავისი API გააჩნია, მაგ: ვალუტის მიმდინარე გაცვლითი კურსები, ისტორიული მონაცემები, სხვადასხვა აქტივების ფასები, ანალიტიკა და ა.შ.

კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გადახდების პროვაიდერი Paypal, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მისი მეშვეობით განვახორციელოთ გადახდების ოპერაცია თითქმის ნებისმიერ ონლაინ მაღაზიაში ან აპლიკაციაში. იგი აღიარებულია მსოფლიოს 200 ზე მეტ ქვეყანაში. Paypal-ზე კი თავის მხრივ ინტეგრირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ბანკის სადებეტო და საკრედიტო ბარათები, იმისთვის რომ შეძლოს ამ ბარათებით გადახდების ოპერაციე-

1 Bloomberg.com - კერძო კომპანიაა, საინფორმაციო მომსახურების მულტიმედიური დისტრიბუტორი, რომელიც საფინანსო ბაზრებისა და ბიზნესექტორის შესახებ არსებულ მონაცემებს, ანალიტიკურ მასალასა და ახალ ამბებს თავს უყრის და შემდეგ მათ მთელ მსოფლიოში ავრცელებს.

ბის განხორციელება. Paypal-ის¹ მიერ გამოდგმული ფუნქციონალურია: ონლაინ მაღაზიებში მომხმარებლის დაკრედიტება, ვირტუალური ტერმინალი, პოს ტერმინალზე ინტეგრაცია და მრავალი სხვა საინტერესო ფუნქციონალი.

API განვითარებას ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ API ერთი კონკრეტული ინფორმაციის პროგრამული კოდია, იგი შესაძლოა გახდეს ძალიან დიდი პროგრამული ეკოსისტემის შექმნის წინაპირობა, სადაც მრავალი სხვადასხვა ფინანსური და კომპანიების ჩართვა იქნება შესაძლებელი, გაიხსნება წვდომა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციასთან, ამ მხრივ კი კომპანიებს და დეველოპერებს ექნებათ განუსაზღვრელი შესაძლებლობები მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაამუშაონ აღნიშნული ინფორმაცია, შექმნან და განავითარონ ახალი და ინოვაციური პროდუქტები, შექმნან სრულიად განსხვავებული პროდუქტების და სერვისების კატეგორიები, მოახდინონ არსებულის გაციფრულება და მრავალი სხვა შესაძლებლობა, იმისთვის რომ დააკმაყოფილონ მომხმარებლის მზარდი მოთხოვნები.

API სერვისების განვითარების თვალსაზრისით საქართველოც მსოფლიო რუკის შემადგენელი ნაწილია. რა თქმა უნდა, ჩვენ ქვეყანაშიც აქტიურად იყენებენ ამ მიდგომას ინფორმაციის მიმოცვლისთვის, თუმცა საკმაოდ ლოკალურ დონეზე. ფინანსური ინსტიტუტები მხოლოდ საკუთარი ეკოსისტემის ფარგლებში მუშაობდნენ და არ ჰქონდათ შესაძლებლობა რომ ხელმისაწვდომი გაეხადათ მომხმარებლის ინფორმაცია მესამე მხარისთვის.

აღნიშნული საკითხი გადაწყდა, ღია ბანკინგის (Open Banking) გამოჩენით, რომელიც გულისხმობს, კომერციული ბანკების მიერ მომხმარებლების ინფორმაციის გაცემას API ის მეშვეობით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მომხმარებელმა ერთი აპლიკაციის ქრილში დაინახოს და მართოს მისი სრული ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა ბანკებიდან.

1 Paypal — ელექტრონული საგადასახადო სისტემა, რომელიც ახორციელებს თანხის გადარიცხვის ოპერაციებს ინტერნეტის საშუალებით.

ღია ბანკინგში ელექტრონული ტექნოლოგიის მეშვეობითა და მომხმარებლის ინიციატივით, საფინანსო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის მყისიერი გაცვლა იგულისხმება. მისი საშუალებით, მომხმარებელს შეუძლია, სასურველ აპლიკაციასა თუ ვებგვერდებზე საკუთარი საბანკო სერვისებით ისარგებლოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღია ბანკინგი გულისხმობს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გაცვლას, ტრანზაქციების გაზიარებას, ასევე გადახდების ინიცირების შესაძლებლობას. ის ახალ შესაძლებლობებს ქმნის როგორც ბანკებისათვის, ასევე ფინტექ ეკოსისტემის სწრაფი განვითარებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიცირებით, საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვასთან დაკავშირებით საბანკო სექტორთან კონსულტაციები და სამუშაო ჯგუფის რეგულარული შეხვედრები ჯერ კიდევ 2019 წლის ზაფხულში დაიწყო. ღია ბანკინგის სამუშაო ჯგუფი შედგებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების წარმომადგენლებისგან. მოგვიანებით, საბანკო ასოციაციის ფარგლებში ასევე შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანი იყო საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო სტანდარტების შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს საბანკო ასოციაციის მონაწილეობით, ასევე კომერციული ბანკების და საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით, 2020 წლის სექტემბერში ღია ბანკინგის კომიტეტმა შეიმუშავა ღია ბანკინგის იმპლემენტაციის ჩარჩოს პირველი ვერსია. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავდა იმ წესებს და სტანდარტებს, რომელთა დაცვით და გამოყენებითაც კომერციულ ბანკებს პირველ ეტაპზე ერთმანეთისთვის უნდა გაეზიარებინათ მათი მომხმარებლების შესახებ ისეთი მონაცემები, როგორიცაა საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები და ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ. აღნიშნული მონაცემების გაცვლა უნდა განხორციელებულიყო ღია აპლიკაციის ინტერფეისების (API) გამოყენებით ონლაინ რეჟიმში და

რა თქმა უნდა, მომხმარებლის სურვილის/თანხმობის შემთხვევაში.

საქართველოს ბანკი პირველი იყო რეგიონში, რომელმაც 2018 Open Banking-ის სტრატეგია წარადგინა. სულ ცოტა ხნის წინ კი, ბანკმა პირველმა გამოუჩინა მომხმარებელს ყველა საბანკო ანგარიში ერთ სივრცეში - მობაილბანკში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია საქართველოს ბანკის ახალი პროდუქტი საბანკო სერვისების ინტეგრაცია (API), რომლის მეშვეობითაც კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ ბიზნესის ინტერნეტ ბანკის პირდაპირ ფინანსურ/საბუღალტრო პროგრამაში ინტეგრაცია მოახდინონ და სხვადასხვა საბანკო ოპერაცია პირდაპირ პროგრამიდან განახორციელონ. აღნიშნული სერვისის მეშვეობით კომპანიის მთლიანი ფინანსური მხარე ერთ სივრცეში ექცევა და მომხმარებელს აღარ დასჭირდება დამატებითი ოპერაციების განხორციელება ცალკე ინტერნეტ ბანკიდან და შემდეგ ამ ოპერაციის პროგრამული გატარება. მიმდინარე ეტაპზე ინტეგრაცია შესაძლებელია საქართველოში გავრცელებულ თითქმის ყველა ფინანსურ პროგრამასთან, მათ შორი არის: FINA, ორისი, ბალანსი, აპექსი, SAP Business One, იბერ-ინფო, ინფო ბუღალტერი, 1C, Dariex-ი და სხვა.

ამრიგად, ღია ბანკინგი არის ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უსაფრთხო გზა მასში ჩართული ყველა მხარისათვის. ტრადიციულად, ფინანსური სერვისების განვითარება მხოლოდ მკაცრად რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების (მაგ. კომერციული ბანკების) მოქმედების სფერო იყო - ისინი უხსნიდნენ მომხმარებლებს ანგარიშებს, ფლობდნენ ამ ანგარიშებთან დაკავშირებულ მრავალგვარ ინფორმაციას და თავადვე ავითარებდნენ ანგარიშებთან წვდომის სხვადასხვა ტექნოლოგიურ მეთოდებს, როგორებიცაა: საბანკო პლასტიკური ბარათები, სატელეფონო და SMS მომსახურება, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი და სხვა. მეტიც, ფინანსური ინსტიტუტებს შორის კონკურენცია ეტაპობრივად გადაიზარდა ტექნოლოგიურ კონკურენციაში. ამავდროულად, ინფორმაციული ტექნოლოგიების მძლავრმა განვითარებამ და მათზე ხელმისაწვდომობის

ზრდამ მოიტანა ის, რომ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობა გაუჩნდათ სხვა მხარეებსაც, თუმცა მათ ხელი არ მიუწვდებოდათ მომხმარებლების ფინანსებზე და ფინანსურ ინფორმაციაზე. შესაბამისად, მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდებოდა.

ღია ბანკინგის ინიციატივა მიზნად ისახავს შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც წაახალისებს მაღალტექნოლოგიური ფინანსური სერვისების შექმნას და ამავდროულად კვლავინდებურად უზრუნველყოფს მომხმარებლების ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას. ღია ბანკინგის მიდგომით, მომხმარებელს ფინანსური სერვისები მიეწოდება არა ერთი, არამედ უკვე ორი მხარის ჩართულობით:

- პირველი მხარე, ე.წ. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მომხმარებლებს უხსნის ანგარიშებს და ეწევა ამ ანგარიშების მომსახურებას. იგი კვლავინდებურად ექვემდებარება მკაცრ რეგულირებას და უზრუნველყოფს მომხმარებლის ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას.

- მეორე მხარე, ე.წ. მესამე მხარის პროვაიდერი, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მისწვდეს საკუთარ ანგარიშებს, რომელიც ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთანაა გახსნილი.

ღია ბანკინგის უპირატესობები შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ:

ღია ბანკინგის ერთ-ერთი სარგებელი სერვისების გაერთიანების შესაძლებლობაა - მომხმარებელი, რომელიც რამდენიმე ბანკის მომსახურებით სარგებლობს, ღია ბანკინგის ტექნოლოგიით აერთიანებს მისთვის შეთავაზებულ მომსახურებას ერთ სივრცეში, მარტივად ადარებს შეთავაზებულ პირობებს და ირჩევს მისთვის ხელსაყრელს.

ღია ბანკინგის მეორე უპირატესობა ფინანსების მართვის გაიოლებაა. არსებული პრაქტიკით, ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიები მომხმარებლებს სხვადასხვა ორგანიზაციაში არსებული ფინანსების ანალიზის შესაძლებ-

ლობას სთავაზობენ. უფრო კონკრეტულად, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯამური შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. რიგი შემოთავაზებების შემთხვევაში კი მომხმარებელს საშუალება ეძლევა, ნახოს საკუთარი ხარჯების სტრუქტურა, დააკვირდეს, რაში ხარჯავს ყველაზე დიდ თანხას, როგორ ნაწილდება მისი შემოსავლები, მისი შემოსავლის რა ნაწილი მიდის მისი ვალდებულებების მომსახურებაზე და სხვა. მომხმარებელს აღარ დასჭირდება ფინანსური ინფორმაციის მისაღებად თითოეული ბანკის ინტერნეტ-ბანკის გამოყენება ან ფილიალში მისვლა. ღია ბანკინგი ქმნის ამ ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრის შესაძლებლობას.

ღია ბანკინგი ზრდის მომსახურების სისწრაფესაც - მაგალითად, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს აიღოს სესხი იმ ბანკში, სადაც არ ფიქსირდება მისი შემოსავალი, სტანდარტულად მას მოუწევს მომსახურე ბანკიდან ანგარიშზე ჩარიცხვების ინფორმაციის მოძიება და სესხის გამცემ ბანკში მისი მიტანა. ღია ბანკინგი ამ პროცესს ბევრად მოქნილს ხდის. მომხმარებლის ნებართვის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება ერთი ბანკის მონაცემები ავტომატურად გაიგზავნოს მეორე ბანკში.

დასკვნა

ღია ბანკინგი საქართველოში მომხმარებლებისთვის უნიკალური, ინოვაციური გამოცდილებაა და ყველა ბანკში არსებული ინფორმაციის როგორც გაზიარებას, ასევე, მასზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს. მაგალითად, შეგიძლიათ ბიზნეს ინტერნეტბანკში გამოიჩინოთ ის ბიზნეს-ანგარიშები, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ სხვა ბანკშიც გაქვთ გახსნილი და ასე მარტივად შეამოწმოთ არსებული ნაშთი, ანგარიშის ნომრები და დანარჩენი ინფორმაცია, რაც იქვე, ონლაინ არხში, ჩანს.

მომავალში ღია ბანკინგის საშუალებით უფრო მეტი სარგებლის მიღება შეგვეძლება, რაც ოპერაციის გაცილებით მარტივად შესრულებასა და მრავალფეროვანი სერვისებით სარგებლობას გულისხმობს, მაგალითად, მობილბანკში გვექნება

შესაძლებლობა სხვა ბანკის ბიზნესანგარიშით გადახდა-გადარიცხვა განვახორციელოთ.

ხელოვნური ინტელექტის ფინანსურ ინსტიტუტებში ინტეგრირება არც თუ ისე მარტივად ხდებოდა პანდემიამდე. თუმცა, დისტანციური მუშაობის აუცილებლობამ ეს პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა. ფინანსური ინსტიტუტები და მათი პარტნიორები ვალდებულები გახდნენ, საბანკო სერვისების ავტომატიზირებაზე ეზრუნათ და ისინი მომხმარებელზე უფრო მეტად ორიენტირებული გაეხადათ.

საქართველოში ბაზრის მიერ შექმნილია ღია ბანკინგის ერთიანი სტანდარტი, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ კომერციულ ბანკებს უწესებს ღია ბანკინგში ჩართვის წესებს. ხოლო ფინანსური პროდუქტებიდან ამ ეტაპზე ღია ბანკინგისათვის ხელმისაწვდომია მიმდინარე ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მომდევნო ეტაპებზე თანდათან გაფართოვდება როგორც ხელმისაწვდომი ფინანსური პროდუქტები, ისე ფინანსური ორგანიზაციების სპექტრი.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ღია ბანკინგი ხელს უწყობს მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული საფინანსო პროდუქტების რაოდენობის ზრდას. ამის მიზეზი ისაა, რომ როდესაც ერთ სივრცეში ექცევა მომხმარებლის ინფორმაცია და მარტივდება მისი გაცვლა, გაზრდილი კონკურენცია ბიძგს აძლევს ფინანსურ ორგანიზაციებს, შექმნან ისეთი პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურად უპასუხებენ მომხმარებლის საჭიროებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბანკო საქმე - მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ - 2020, 421 გვ.

2. Ж. Мусрепова, “Как будут развиваться банки в 2021 году” - <https://kapital.kz/finance/93409/kak-budut-razvivat-sya-banki-v-2021-godu.html> - გადამოწმებულია 15.10.2022

3. <https://forbes.ge/saqarthvelo-inovatsiebis-qveqhana/> - გადამოწმებულია 15.10.2022

4.<http://www.association.ge/bank-projects-detail/10/ghia-banking/>-გადამოწმებულია 15.10.2022

5.<https://bankofgeorgia.ge/ka/business/digital-bank/open-banking/>-გადამოწმებულია 15.10.2022

REFERENCES:

1. Mosiashvili V., Chelidze M., Abutidze G., – Banking, textbook. - Tbilisi, “Dani” publishing house, 2020. - 421 p.

2. Zh. Musrepova, “How banks will develop in 2021 “ - <https://kapital.kz/finance/93409/kak-budut-razvivat-sya-banki-v-2021-godu.html> - retrieved on 15.09.2022

3. <https://forbes.ge/saqarthvelo-inovatsiebis-qveqhana/>- retrieved on 15.10.2022

4.<http://www.association.ge/bank-projects-detail/10/ghia-banking/>- retrieved on 15.10.2022

5.<https://bankofgeorgia.ge/ka/business/digital-bank/open-banking/>- retrieved on 15.10.2022

OPEN BANKING STANDARDS IN GEORGIA

Valeri Mosiashvili

Doctor of Economics, Professor
Georgian National University(SEU)
vmosiashvili@seu.edu.ge

Eliko Mikaia

Ph.D Candidate at GTU
Mikaia.eliko@gmail.com

RESUME

Banking activity in Georgia is going through a period of rapid changes caused by the introduction of new information technologies and the globalization of financial markets. In the wake of radical market reforms, the country’s banking system has changed significantly. The number of banking organizations whose activities are

based on market principles has increased, which in turn creates conditions for the development of competition in the market of banking services.

The introduction of information technologies has opened up new opportunities for banks to manage risks, develop progressive forms of customer service and further diversify their activities. Information technology has become the basis of many financial innovations that have led to the creation of various financial instruments. The era of open banking has begun, and with it, the growth of the fintech ecosystem. Georgia is not lagging behind world trends either - the National Bank and the Georgian Banking Association started working on the development of common open banking standards as early as 2020, the main principles of which we will discuss in this article.

Keywords: Digital economy, Fintech-innovations, API - services, Open banking.